ახალი

ჟურნალისტი

„ბედნიერია ის, ვისაც სამშობლოსათვის უძვირს გული„

ელფოსტა
AxaliGantiadi@gmail.com

2016 წელი
29 მარტი
№ 3
№ 8109

„მშვიდობის თესლს, გათა-მაშებს ცაჭრიბო ცამეფოში

გვ6.

ხიდის მშენებლობა მდინარე ლეხურაზე

გვ6.

გარეგანათების სამუშაოები იგ-ოეთი - კასპის გზის მონაკვეთზე

გვ2.

საგაზაფხულო ვერნისაჟი

გვ4.

რესურსეფექტური და ეკოლოგიურად სუფთა წარმოება

გვ2.

შეხვედრა სამელიორაციო სისტემებთან დაკავშირებით

გვ2.

დასუფთავების მორიგი აქცია კასპში

გვ2.

მდინარე თეძამზე ახალი ხიდი აშენდა

გვ7.

კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ აირჩიეს მანუჩარ მერებაშვილი

მანუჩარ მერებაშვილი დაიბადა კასპში 1986 წლის 6 ივლისს. დაამთავრა კასპის №3 საშუალო სკოლა.

2007 წელს დაამთავრა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საინჟინრო მეცნიერების ბაკალავრის ხარისხით.

2009 წელს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მიენიჭა საინჟინრო მეცნიერების მაგისტრის ხარისხი.

2012 წელს მიენიჭა დოქტორის ხარისხი და როგორც ასისტენტ პროფესორი კითხულობდა ლექციების კურსს.

2013 წლიდან დღემდე გადის ბიზნეს ადმინისტრირების სადოქტორო კურსს.

სამუშაო გამოცდილება:

2005-13 წლებში მუშაობდა შ.პ.ს "საქართველოს რკინიგზა"-ში სხვადასხვა თანამდებობებზე

2014 წელი - კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი; ფრაქცია "ქართული ოცნების" თავმჯდომარე, პროპორციული სიის პირველი ნომერი. დასაოჯახებელი.

,,ბავშვობის თესლს, გათამაშებს ცაჭრიბო ცამეფოში

გვ6.

,,გაზაფხულო, გამოექეცი ინვარს,,

გვ6.

პირველი მერცხლები საგაზაფხულოდ...

გვ8.

ივანე ჯავახიშვილი - 140

როგორ ლიტერატურულ ივანე ჯავახიშვილს

გაზაფხულის დღესასწაული

გვ 3.

85-ე წელი თქვენთან ერთად!

ითხმოცდა მეხუთე წელი ჩვენი გაზეთი ერთს, ვგრძნობს, ეგრეთ ერქვა ეს ერთ ადამიანს, ხარუს ეს უხდის უვითელ ჭრესას, ქმნის ჩვენი ცხოვრების შეულა მაზებელ მაცნეს...

2016 წელს ჩვენი გაზეთის ცვიფერეთ 85-ე წელია. თუ თქვენ ცვინდერეთ და მნიშვნელოვან მაცვლეს გაზეთის ისტორიიდან გამოგვიხმაურეთ.

გამოიწერეთ
,,ახალი განთიადი,,!
გახდით ჩვენი მკითხველი

რესურსეფექტური და ეკოლოგიურად სუფთა წარმოება

UNIDO -ს რესურსეფექტური და ეკოლოგიურად სუფთა წარმოების რეგიონალური სადემონსტრაციო პროექტის ფარგლებში, კასპის მუნიციპალიტეტში მეწარმეთა შეხვედრა გაიმართა. პროექტის დანიშნულებაზე ისაუბრეს პროექტის კოორდინატორმა მალხაზ ადეიშვილმა და კლუბების კომპონენტის კოორდინატორმა ნიკა ჯავშანაშვილმა.

პროექტი წარმოადგენს ევროკავშირის რეგიონული პროგრამის შემადგენელ ნაწილს, რომლის მიზანია "მწვანე" (ეკოლოგიურად სუფთა) ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა აღმოსავლეთ ევროპის პარტნიორ ქვეყნებში (საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, მოლდოვა, უკრაინა). ეს ოთხწლიანი პროგრამა (2013-2016) ხორციელდება საერთაშორისო ორგანიზაციების კონსორციუმის მიერ და გულისხმობს წარმოების პროდუქტიულობის გაზრდას, ადამიანთა ჯანმრთელობაზე და საერთოდ გარემოზე ზიანის მიყენების რისკის შემცირების მიზნით კომპლექსური პრევენციული გარემოს დაცვითი ღონისძიებების გამოყენებას პროდუქციული დიზაინის, საწარმოო და მომსახურების პროცესში.

ეკონომიკური, ეკოლოგიური და სოციალური სარგებლის მიღების მიზნით პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო ექსპერტები მოამზადებენ ქართველ სპეციალისტებს RESP მეთოდებში და გაუწევენ მათ ხელმძღვანელობას შერჩეულ საწარმოებში ამ მეთოდების პრაქტიკულად გამოყენებაში; დამატებითი ინფორმაციისათვის ისარგებ- WWW.resr.ge.

მდინარე თეძამზე ახალი ხიდი აშენდა

მდინარე თეძამზე ორი სოფლის დამაკავშირებელი ხიდის სამუშაოები დასრულდა.

სოფელ თეძმისხევისა და ახალსოფლის დამაკავშირებელი სამანქანე და საფეხმავლო ხიდის მშენებლობის სამუშაოებს შპს "პემ" ახორციელებდა. სამშენებლო სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა და მასზე 130 923 ლარი დაიხარჯა.

ორივე სოფლის მოსახლეობა კმაყოფილია ხიდის აშენებით და მადლობას უხდიან ხელმძღვანელობას და მშენებლებს წლობით არსებული პრობლემის გადაჭრისათვის.

შეხვედრა სამელიორაციო სისტემებთან დაკავშირებით

კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შიდა ქართლისა და სამცხე - ჯავახეთის რეგიონების სამელიორაციო სისტემების დირექტორმა ვახტანგ გარდაფხაძემ შეხვედრა გამართა.

შეხვედრაზე განიხილეს მუნიციპალიტეტის სამელიორაციო სისტემების გამართულობა, პრობლემებსა და მიმდინარე წელს დაგეგმილ დუსრუს, ნიაბის და კავთისხევის სასოფლო არხების სარეაბილიტაციო სამუშაოები. იმსჯელეს მდინარე თეძამზე ასაშენებელი კაშხალის პროექტის შესახებ. შეხვედრას, რომელიც კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა გოჩიტაშვილი, ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლები, თეზი-ოკამისა და დოეს-გრაკლის სერვისცენტრის ხელმძღვანელები.

დასუფთავების მორიგი აქცია კასპში

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრობა - საქართველო-მ, პროექტ "დავასუფთაოთ საქართველოს" ფარგლებში 22 მარტს დასუფთავების აქცია დაგეგმა, რომელშიც კასპის მუნიციპალიტეტი სრულად ჩაერთო.

მუნიციპალიტეტის გამგეობის, საკრებულოს, მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული ერთეულების და ააიპების, შპს "კასპის კეთილმოწყობა-"ს, სასწრაფო სამედიცინო დახმარების - "03"-ის თანამშრომლებმა და სკოლის მოსწავლეებმა პედაგოგებთან ერთად საკუთარი ტერიტორიების გარდა ქალაქის ქუჩები და მუნიციპალიტეტში შემოსასვლელები დაასუფთავეს. ნარჩენების გატანა კი შპს "კასპის კეთილმოწყობა-"მ უზრუნველყო.

ყოველწლიურად გაზაფხულსა და შემოდგომაზე დასუფთავების და გამწვანების რამდენიმე აქციას ვატარებთ. გვინდა ჩვენი მუნიციპალიტეტი სუფთა, მწვანე ნარგავებით გალამაზებული იყოს, რაშიც ხელი მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა თითოეულმა მოქალაქემ უნდა შეგვიწყოს - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გოჩიტაშვილმა.

გარეგანათების სამუშაოები იგოეთი – კასპის გზის მონაკვეთზე

კასპის მუნიციპალიტეტის შიდასახელმწიფოებრივი გზის იგოეთი-კასპი-ახალქალაქის საავტომობილო გზის 4,5 კილომეტრიან მონაკვეთზე, გარეგანათების სამუშაოები მიმდინარეობს, რომელსაც შპს "მური" ახორციელებს.

პროექტი 136 ცალი ბოძის მონტაჟს და მასზე განათების ფარების და ეკონათურების დაყენებას ითვალისწინებს. მშენებელი ვალდებულია სამუშაოების მთელ პერიმეტრზე დაიცვას უსაფრთხოების ნორმები, ნებისმიერი კომუნიკაციის დაზიანების შემთხვევაში კი ზარალი საკუთარი სახსრებით აანაზღაუროს.

სამუშაოს ხარისხის კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი. სამუშაოების გარანტია 2 წელია. პროექტის ღირებულება 62 555 ლარია, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა.

დალი კორკომაშვილი, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

გამოიწერეთ "ახალი განთიადი" გახდით ჩვენი მკითხველი!

განვითარებულ ლოგიკურწოდებები

დედის დღე და ქალთა საერთაშორისო დღესასწაული 8 მარტი საზეიმოდ აღინიშნა კასპში... ქალაქის კულტურის ცენტრში (დირექტორი ზაზა მენაბდიშვილი) კულტურის სამსახურის ორგანიზებით გამართულმა კონცერტმა მოწონება დაიმსახურა. დარბაზში შეკრებილი საზოგადოება ოვაციებით შეხვდა სცენაზე გამოსულ კასპის საბავშვო სტუდია "ორქიდეას" პატარა შემსრულებლებს: ნინი ცქვიტიშვილს, გიორგი გაბისიანს, მარიამ მაისურაძეს, თამარ ბალიაშვილს, ანი ოქროპირიძეს, გიორგი ჯავახიშვილს, მარიამ ბერიძეს, ოთო თაბუაშვილს, რომლებმაც სპეციალურად ამ დღისათვის საგანგებოდ მომზადებული სიმღერა შეასრულეს...

— დედის დღე და ქალთა საერთაშორისო დღე 8 მარტი გაზაფხულის დადგომას ემთხვევა, წელიწადის ეს დრო ხომ თავისებურად საზეიმო და სასიხარულო განცდებთან ასოცირდება, — აცხადებს კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, — ამიტომ გადავწყვიტეთ ეს თარიღი ჩვენს ქალბატონებთან ერთად საზეიმოდ აღგვენიშნა.

ქალბატონებს სიმღერები მიუძღვნეს ანსამბლ "მოურავის" სოლისტებმა მიხეილ ქოსაშვილმა და რეზო კერესელიძემ, ირაკლი ქებაძემ, საესტრადო სიმღერების შემსრულებელმა თათია ხორგუაშვილმა, მაყურებლის წინაშე მხატვრული კითხვით წარდგა ილია ბერიანიძე, აპლოდისმენტები დაიმსახურეს მარიამ ინდუაშვილმა და გიორგი რევიშვილმა, რომლებმაც შეასრულეს სამეჯლისო ცეკვა "ჩა-ჩა ჩა"...

საკონცერტო ნომრების დასრულების შემდეგ მოწვეულ ქალბატონებს კიდევ ერთი სიურპრიზი ელოდათ. საქმე ის გახლავთ, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ორგანოდან მოწვეულ სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ქალბატონებს მუნიციპალიტეტის გამგებელმა ფულადი ჯილდო გადასცა. დაჯილდოებულთა შორის არიან: ნონა კანდელაკი /ახალციხე/, ირინე იოსელიანი /კასპი/, იამზე აბულაძე /ოკამი/, მაია მეცხვარიშვილი /მეტეხი/, თამარ თათარაშვილი /აღაიანი/, ხათუნა კელაპტრიშვილი /ზემო ხანდაკი/, მაია ცუცუნაშვილი /ლამისყანა/, ჟუჟუნა მამულაშვილი /კოდისწყარო/, იამზე ხორბალაძე /დოესი/, ხათუნა მურადაშვილი /სამთავისი/, თამარ ჯაშიაშვილი /ხოვლე/, ლალი ნახუცრიშვილი /ქვემო ჭალა/, მაია გოდერძიშვილი /წინარეხი/, ქეთევან მიქეიშვილი /ახალქალაქი/, რუსუდან მახარაშვილი /თელიანი/.

შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა პარლამენტარი, კასპის მაჟორიტარი დეპუტატი დავით ონოფრიშვილი, რომელმაც ქალბატონებს ირინე გელიაშვილს, შამირა ბიდბუნოვას, ვერა დუშაშვილს და ლია მენაბდიშვილს ყვავილების თაიგულები და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა... დარბაზი ტაშით შეხვდა საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის გიული სოზიაშვილის განცხადებას, მან სარვამარტოდ კვების პროდუქტების დიდი პაკეტი გადასცა ცნობილ პედაგოგს, კასპელ ეთერ ნიპარიშვილს და ახალციხის საჯარო სკოლის ყოფილ დირექტორს გულნარა ვალიშვილს.

საღღესასწაულო ღონისძიებას უძღვებოდა ზაზა მენაბდიშვილი.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

შეხვედრები საქალაქო ბიბლიოთეკაში

ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით კასპში, ქეჩარუხზე არსებულ საქალაქო ბიბლიოთეკის (მენეჯერი მაია აბუაშვილი) სამკითხველო დარბაზში გაიმართა საზეიმო შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ ჩვენი ქალაქის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება, რომლის ინიციატივითა და ხელშეწყობით შეიკრიბნენ ჩვენი ქალაქის ქალთა საზოგადოების წარმომადგენლები... მოწვეულ ქალბატონებს მიესალმა და გაზაფხულის დღესასწაული მიულოცა მთავარი ბიბლიოთეკის მენეჯერმა მაია მარჯანიძემ. მისალმებისა და მილოცვის შემდეგ ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა შეკრებილებს წარუდგინეს მოწვეული ქალბატონების შრომითი ბიოგრაფიები, რომელთა მოსმენას თან ახლდა ემოციები, დადებითი განწყობა. აი, ამ პატარა პრეზენტაციის შემდეგ სიტყვა დაუთმეს საპატიო სტუმრებს, რომლებმაც გულწრფელი მადლობა გადაუხადეს ღონისძიების ორგანიზატორებს დაფასებისა და შეხვედრაზე მოპატიჟებისათვის, გახსენებისათვის. განვლილი ცხოვრებიდან საინტერესო დეტალები გაიხსენეს, აგრეთვე საკუთარი ლექსები წაიკითხეს სტუმრებმა: პედაგოგებმა მანანა ყაბანაშვილმა და თამარ გაბოძემ, გაზეთ "განთიადის" რედაქტორის ყოფილმა მოადგილემ ნორა ედიშერაშვილმა, საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის კასპის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ გიული სოზიაშვილმა, კასპის №4 საბავშვო ბაღის გამგემ დალი კოტეტიშვილმა, გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის კონსულტანტმა ლიანა ბალხამიშვილმა, კასპის მუსიკალური სკოლის პედაგოგმა მანანა სოზიაშვილმა, ყოფილმა ბიბლიოთეკარმა ლიანა ყაბანაშვილმა, კასპის პირველი საჯარო სკოლის პედაგოგმა ნათია სუხაშვილმა... პოეზიის გარდა შეხვედრაზე ჟღერდა მუსიკაც, აპლოდისმენტები დაიმსახურა კავთისხევის კულტურის სახლის დირექტორის ნანა შალიტაურის გამოსვლამ, მან ფანდურის თანხლებით შეასრულა ხალხური სიმღერების პოპური. შეხვედრის მონაწილეებს მიესალმნენ, მობრძანებისათვის მადლობა გადაუხადეს სტუმრებს კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ და ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორმა თეა ბარნაბიშვილმა. მომავალი შეხვედრის იმედით დაემშვიდობნენ სტუმრებს და ყვავილების თაიგულებთან ერთად სიმბოლური საჩუქრებიც გადასცეს.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

ბავშვობაში ნათქვამი "ფრთიანი ფრაზები" მთელი ცხოვრება ალაპარაზებენ მოგონებებს, ისინი დამსახურებულად იკავებენ ადგილს ოჯახურ "ოქროს ფონდში," თაობიდან თაობას გადაეცემიან და ყველა შინაური თავყრილობის მთავარი სახალისო საამბობნი ხდებიან.

შეინახეთ თქვენი ბავშვობის საინტერესო წუთები ჩვენს რუბრიკაში "მაკნატუნა" და გახდით სასურველი სტუმარი.

გინდათ, გაიგოთ ეჩისუასთა მოსაზრებები საქართველოს ცხოვრების პერსპექტივაზე?

გინდათ თვალი ადევნოთ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს?

გახდით ჩვენი მკითხველი.

საგაზაფხულო ვერნისაჟი

გიორგი ხორგუაშვილის სახელობის კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გაიხსნა პროფესიით ექიმ-გინეკოლოგის, ქალბატონ ცირა ბუზალაძის ნამუშევრების (ნაქარგობა) პერსონალური გამოფენა. გამოფენის ორგანიზატორები: კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება და კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, საინფორმაციო მხარდამჭერი გაზეთი "ახალი განთიადი".

გამოფენის გახსნაზე მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ კულტურისა და განათლების მუშაკები, პედაგოგები, ხელოვნებით დაინტერესებული ადამიანები. სტუმრებს მიესალმა მუზეუმის დირექტორი გიორგი ჩადუნელი, შემდეგ დამთვალიერებლებს ესაუბრა მხატვარი იორამ იმედაშვილი, რომელმაც დადებითად შეაფასა აქ წარმოდგენილი ნაქარგები, მეტიც, ისინი ხელოვნების ნიმუშებს შეადარა.

— აქაურები ალბათ, ძალიან კარგად იცნობენ კასპელი მინდაძეების რძალს (ექიმ კაკო მინდაძის მეუღლე) ცირა ბუზალაძეს, რომელიც პროფესიით ექიმ-გინეკოლოგი გახლავთ, თუმცა, დიდი ხანია, გატაცებულია ქარგვით, ამის შესახებ მისმა საახლობლომ, სამეგობრომ იცოდა, არა, სხვებსაც მოსწონდათ მისი ნახელავი, მაგრამ თავად ქალბატონ ცირას არასოდეს გამოუთქვამს გამოფენის მოწყობის სურვილი, — საუბრობს კასპის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი, ხელოვნებათმცოდნე ხატია ხორგუაშვილი, — ბოლოს, როგორც იქნა დავითანხმეთ უიშვიათესი ნაქარგების ავტორი და ამდენად, ჩვენს საგამოფენო დარბაზში გამოიფინა მისი 12 ნამუშევარი. სპეციალისტთა აზრით, მან დიდი ხანია გადალახა ის ბარიერი, რომლის შემდეგ იწყება შემოქმედება და შექმნა დახვეწილი, უმშვენიერესი ნამუშევრები... აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მის შემოქმედებაში დიდი ადგილი უკავია საქვეყნოდ აღიარებულ მხატვართა ტილოების რეპროდუქციას, რომლებიც უდიდეს ყურადღებას იქცევენ, გემოვნებითა და რუდუნებით შესრულებული მანერით, განუმეორებელი ტექნიკით. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ნაქარგებს არ შეიძლება ეწოდოს კლასიკოს მხატვართა მხოლოდ ასლები, არამედ ისინი ხელოვნების ნამდვილ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს, — ნაქარგების კოლორიტი უდაოდ დახვეწილია და თვალნათლივ შეიმჩნევა ფერთა საოცარი სინთეზი და ნაზი თამაში, — განაგრძობს ხატია, — მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც ერთ-ერთი ნაქარგი "ჯენივერა და ლანსელოტი," აღნიშნული ნამუშევარი ორფიგურიანი გახლავთ და მასზე გამოსახულია ქალი და მამაკაცი საკრავით ხელში, ნაქარგზე სჭარბობს თბილი ფერები, მისი ყურებისას, პირველი, რაც თვალში გხვდება, ქალის დრაპირებული სამოსია. ერთი შეხედვით, თითქოს წარმოუდგენელია ძაფით სიბრტყეზე შუქ-ჩრდილთა თამაშით ფორმის გამოსახვა, თუმცა, ამ ყველაფერს ხელოვანი ოსტატურად ახერხებს და ნამუშევარი სასიყვარულო განწყობას უქმნის მნახველს, იგრძნობა საოცრად თბილი და სასიამოვნო განცდა. იგივე შეიძლება ითქვას სხვა, დანარჩენ ნამუშევრებზეც და ამდენად, რჩება შთაბეჭდილება, რომ შეუძლებელი არაფერია, რომ ნემსისა და ძაფის უკან შეიძლება იმალებოდეს დიდი ემოცია, ენერგია, რასაც ოსტატი ნამუშევრებში გადმოგვცემს.

გამოფენას სტუმრობდა კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე. გამოფენამ დამთვალიერებელთა მოწონება დაიმსახურა. კარგი იქნება, თუ ხშირად მოეწყობა ასეთი გამოფენა, რომლითაც სხვა თვითშემოქმედ, გამორჩეული ნიჭით დაჯილდოებულ ადამიანებს ოპტიმიზმი და მოტივაცია გაუჩნდებათ, რაც ყველაზე მთავარია, საზოგადოებას ექნება სულიერი საზრდო და კიდევ ერთი, ხელოვნების ნიმუშებს შესწევთ უნიკალური თვისება, რომ დროებით მაინც მოწყვიტონ ადამიანები ყოველდღიურ ერთფეროვანებას და აზიარონ სულ სხვა სამყაროს...

კასპის მუნიციპალიტეტის მუზეუმების გაერთიანება.

სასწავლო კლუბი

„ის ბევრ სიხარულს მოგიტანთ თქვენ...„

"ძვირფასო ბავშვებო, გიყვარდეთ მუსიკა, ის ბევრ სიხარულს მოგიტანთ თქვენ."
დიმიტრი კაბალევსკი.

გამოჩენილი ნორვეგიელი კომპოზიტორის ედვარდ გრიგის შემოქმედებას მიეძღვნა თემატური საღამო, რომელიც კასპის სამუსიკო სკოლაში გაიმართა. კონცერტის თემა დაამუშავა სკოლის მუსიკალური ლიტერატურის დამსახურებულმა პედაგოგმა ზვიად კირვალიძემ. თემატურ საღამოზე მოწვეულ სტუმართა შორის იყვნენ მოსწავლეები, მათი მშობლები, დარგის სპეციალისტები... კომპოზიტორ ედვარდ გრიგის ბიოგრაფიის საინტერესო დეტალებზე შეკრებილ საზოგადოებას მოკლედ მოუთხრო მეექვსე კლასის მოსწავლემ მარიამ კაციაშვილმა. შემდეგ კი, "პატარა პიანისტებმა" მსმენელთა წინაშე წარადგინეს დიდი მუსიკოსის უზარმაზარი შემოქმედებიდან საკმაოდ ცნობილი და აღიარებული მუსიკალური ნაწარმოებები. გაჟღერდა ედვარდ გრიგის ელეგია, ხალხური მელოდია, რომანსი, ელფების ცეკვა და სხვა მუსიკალური შედევრები. მოკლედ, კონცერტი იყო ძალიან საინტერესო და კარგად მომზადებული, ორგანიზებული, ნათლად იგრძნობოდა, რომ ბავშვებმა და მათმა პედაგოგებმა ბევრი იშრომეს, რათა სათანადოდ წარმოეჩინათ თავი მაყურებლის წინაშე. კონცერტში მონაწილეობდნენ: მესამე კლასის მოსწავლე თამარ გოჭოშვილი (თხზულება 12, ვალსი, პედ. ლ. ღვინიაშვილის კლასი), მეოთხე კლასის მოსწავლე სალომე თინიკაშვილი (თხზულება 12, ვალსი, პედ. ლ. ნონიაშვილის კლასი), მეოთხე კლასის მოსწავლე მამულაშვილი (თხზულება 12, "ხალხური მელოდია №5", პედ. ლ. ნონიაშვილის კლასი), მეოთხე კლასის მოსწავლე ანა-მარია ნონიაშვილი (თხზულება 38, ელეგია №6, პედ. ლ. თათანაშვილის კლასი), მეოთხე კლასის მოსწავლე ანა-მარია მზარეულაშვილი (თხზულება 38, "ელფების ცეკვა", პედ. ლ. თათანაშვილის კლასი), გურამ ქამხაძე (თხზულება 22, "ხალხური მიბაძვა" მინორი, "ნორვეგიული ცეკვა" №2, ლა მორი, პედ. ა. ნონიაშვილის კლასი), მეოთხე კლასის მოსწავლე ხატია ხაჩირაშვილი, რომანსი, პედ. ს. ლომსაძის კლასი, ფურცელი ალბომიდან, პედ. თეა კორინთელის კლასი), მეხუთე კლასის მოსწავლე მარიამ ჟივიძე (თხზულება 12, "ფურცელი ალბომიდან" №7, პედ. ლ. ნონიაშვილის კლასი), მეხუთე კლასის მოსწავლე მარიამ მენაბდიშვილი (თხზულება 71, "კობოლდი", პედ. მ. სოზიაშვილის კლასი), მეექვსე კლასის მოსწავლე თამარ მჭედლიძე (თხზულება 3, "პოეტური სურათი №1", პედაგ. მ. სოზიაშვილის კლასი), მეხუთე კლასის მოსწავლე შალვა ნასყიდაშვილი (სუიტა "პერ გიუნტი", — "ოზეს სიკვდილი", პედ. შ. შეშაბერიძის კლასი), მეექვსე კლასის მოსწავლეები ანა ჯავახიშვილი და მარიამ ბერიაშვილი (სუიტა — "პერ გიუნტი" — "ანიტრას ცეკვა", პედ. ნ. ყოჩიშვილისა და მ. სოზიაშვილის კლასი).

— კიდევ ერთხელ აღგვაფრთოვანეს ჩვენმა პატარა შემსრულებლებმა და საერთოდ, ბავშვების, მათი მშობლებისა და პედაგოგების აქტივობა, ორგანიზებულობა, მიღწევები განპირობებულია ჩვენთან შექმნილი სასიამოვნო სამუშაო გარემოთი, — კმაყოფილებით აცხადებს მუსიკალური სკოლის დირექტორი შორენა შეშაბერიძე, — მხედველობაში მაქვს ამ რამდენიმე ხნის წინ აქ განხორციელებული ძვირად ღირებული /12.000 ლარიანი, დაფინანსა მუნიციპალიტეტმა/ პროექტი ანუ სკოლაში გაკეთდა ცენტრალური გათბობა, რაზეც ადრე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა და ამიტომ მინდა ვისარგებლო შემთხვევით, ჩვენი დახმარებისათვის მადლობა გადავუხადო მუნიციპალიტეტის გამგებელს ბატონ გოჩა გოჩიტაშვილს, აგრეთვე კულტურის სამსახურის უფროსს ქალბატონ თეა ხორბალაძეს. სწორედ მათი დიდი ძალისხმევით, თაოსნობით თავი მოება ამ საქმეს. დიახ, მუსიკალურ სკოლაში ყველა პირობას შევუქმნით ბავშვებს, რომ მათ სათანადო მუსიკალური განათლება მიიღონ. ერთიც მინდა დავამატო, რომ ჩვენი სკოლიდან ბევრი შეიძლება ვერ გაყვეს მუსიკალურ განათლებას, მაგრამ იმის ნამდვილად მჯერა, რომ ისინი საუკეთესო მსმენელები იქნებიან. საღამოს ესწრებოდა და დადებითად შეაფასა მოსწავლეთა გამოსვლა სახელოვნებო სკოლების დირექტორმა ლალი ჯანჯალაშვილმა. კონცერტს უძღვებოდა პედაგოგი ნინო ყოჩიშვილი.

კასპის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება.

ლიტერატურული გასამართლება

ქართულ სინამდვილეში, გნებავთ სალიტერატურო ცხოვრებაში არსებობს კლასიკურ ნაწარმოებთა წყება, რომელთა გადაკითხვა პერმანენტულ საქმიანობად იქცა. კლასიკოსთა შემოთავაზებული ამბავი მრავალ კითხვაზე მარადიულ პასუხს გაძლევს - მხოლოდ შენ რომ ხარ შენი ბედის და სამშობლოს პატრონიცა და ბატონიც. ამიტომაა "მოძრაობა და მოძრაობა" ქვეყნის ძალისა და სიცოცხლის მომცემი.

ამჯერად შეხვედრის თემა იყო - რა არის "ჯაყოობა"? - სხვისი ქონების, სიმდიდრის, მამულის, სახლ-კარის, ღირსების, პატივის, სახელის მიტაცება - მითვისება; ძალადობა, ორპირობა, ურცხვობა, უსაზღვრო ექსპლოატაცია, სრული უმეცრება და უკანონობა, რომლის უკან იმალება გარდაუვალი გახრწნა და დაცემა. ეს საშინელი მოვლენა

ძირფესვიანად უნდა ამოიძირკვოს, რადგან იგი განვითარებას, ევოლუციას, სახეცვლილებას არ ემორჩილება! ამ დასკვნას უპირობოდ დაეთანხმა ყველა, ვინც დაესწრო კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების ღონისძიებას - ლიტერატურული გასამართლება - "თეიმურაზ ხევისთავი ჯაყო ჯივაშვილისა და საზოგადოდ "ჯაყოობის" წინააღმდეგ." იმპროვიზებული სასამართლოს მსვლელობაში მონაწილეობდნენ მოსამართლე - ლია მენაბდიშვილი; სახელმწიფო ბრალმდებელი - ლია სოზიაშვილი; თეიმურაზ ხევისთავი - ლალი თათანაშვილი; მისი ადვოკატი - დიანა ხორბალაძე; ჯაყო ჯივაშვილი - ირმა გზირიშვილი; მისი ადვოკატი - შორენა ხაბალაშვილი; მარგო ყაფლანიშვილი - ხევისთავისა - ეკატერინე კიტრიაშვილი. ლიტერატურული გასამართლება მოამზადა კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების სპეციალისტმა ლია მენაბდიშვილმა.

ლიტერატურულ გასამართლებაზე გაიმართა ძალიან საინტერესო კამათი. საკუთარი პოზიცია დააფიქსირეს კასპის საჯარო სკოლების ფილოლოგებმა, ქალბატონებმა: ნათია სუხაშვილმა, მანანა ყაბანაშვილმა, ინგა ქენქაძემ, ელზა ბასილიძემ. კამათში მეთორმეტეკლასელებიც ჩაებნენ - საკუთარი პოზიცია დაიცვა ლალი ნაცვლიშვილმა.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ბატონმა გოჩა გოჩიტაშვილმა საკუთარი პროფესიის თვალსაწიერიდან შეაფასა ლიტერატურული გასამართლება. ცალკე აღნიშვნას იმსახურებს კასპის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატის - სანდრო გზირიშვილისა და მეოთხე საჯარო სკოლის პედაგოგის, ქალბატონ ინგა ქენქაძის გააქტიურება.

დარბაზში დამსწრე საზოგადოებამ დააფიქსირა საკუთარი დამოკიდებულება დასმული პრობლემებისადმი - ქალბატონები: ნინო ბურდული, ხათუნა ბაიაძე, ბატონები: რობერტ კავთიაშვილი, ტარიელ ბეგლარაშვილი და სხვები ძალზედ საინტერესო მოპაექრენი აღმოჩნდნენ.

სიმართლის წილ უნდა აღვნიშნოთ, რომ ღონისძიება შედგა. ღონისძიებას დასასრულს ერთგვარი რეზიუმე გაუკეთეს კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა თეა ხორბალაძემ და კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანების დირექტორმა თეა ბარნაბიშვილმა.

კასპის ბიბლიოთეკების გაერთიანება კვლავაც გააგრძელებს მსგავს საინტერესო შეხვედრებს, ამაში ახლადგახსნილი საქალაქო ბიბლიოთეკის სასიამოვნო ინტერიერიც ხელს უწყობს და კასპელ წიგნის მოყვარულთა ფართო საზოგადოებაც.

კასპის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების გაერთიანება.

„დაე, მუდამ იყოს მზე„

დედის დღე და გაზაფხულის მოსვლა ზეიმით აღნიშნეს წინარეხელმა მოსწავლეებმა.

ღონისძიებაზე მოწვეული იყვნენ პედაგოგები, მშობლები და სოფლის აქტივის წარმომადგენლები... სტუმრად მოსულ დედებსა და პედაგოგ ქალბატონებს ყვავილების თაიგულებს ჩუქნიდნენ ბავშვები. ჟღერდა ნაცნობი მელოდიები, დედისა და გაზაფხულისადმი მიძღვნილი სიმღერები, მხატვრულ კითხვაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს სტუმრები და მასპინძლები.

— წინარეხელი მოსწავლეები სწავლის პროცესთან ერთად განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სკოლაში კულტურული ღონისძიებების ჩატარებას, — აცხადებს პედაგოგი, წინარეხის დამოუკიდებელი მაჟორიტარი დეპუტატი ია ირემაშვილი, — დღევანდელი დღე სწორედ ერთ-ერთი მათგანი გახლავთ და იმედია, რომ ეს ტენდენცია კვლავაც გაგრძელდება.

საზეიმო შეხვედრა მოამზადა ინგლისური ენის მასწავლებელმა ნატო მერებაშვილმა, მას ეხმარებოდნენ ხელოვნებისა და დაწყებითი კლასების მასწავლებლები.

ფუტსალი

"გენერალმა" ბეწვის ხიდზე გაიარა...

საქართველოს ფუტსალის (დარბაზის ფეხბურთის) სუპერლიგა — ბ-ის რეგულარული სეზონის ზამთრის პერიოდში კასპის "გენერალმა" ბეწვის ხიდზე გაიარა: სასტარტოდ რამდენიმე ისეთი თამაში დათმო, რომელთა წაგება არ შეიძლებოდა, მეშვიდე ტურის პრინციპული მატჩიც საქართველოს უნივერსიტეტის გუნდთან თავის სასარგებლოდ ვერ შემოატრიალა და ამის შემდეგ თითქოს წინსვლის გზა აღარ ჩანდა, მაგრამ მერვე ტურში უიმედობიდან გამოაღწია, მდგომარეობის გადასარჩენად მნიშვნელოვანი ქულები აართვა ზესტაფონის "ფეროს", მეცხრეში არც "უნიკრედიტის" გუნდი დაინდო და, საბოლოოდ, მიზანს მიაღწია — პლეიოფში გავიდა!

გათამაშების შემდგომ ეტაპზე, მეოთხედფინალში, "გენერალი" დაუწყვილდა "ვივუს — ჯი"-ს გუნდს და მასთან მატჩს აპრილში გამართავს.

"ა" და "ბ" ჯგუფებიდან გასული 8-8 გუნდი (სულ — 16), ასევე, პირველობის პარალელურად, იბრძოლებს თასისთვისაც. "გენერალი" აქ მე-6 პოზიციიდან ჩაება და "ა" ჯგუფის წარმომადგენელთაგან "ბრმა" წილისყრით დაუპირისპირდა თბილისის სატრანსპორტო კომპანიის ნაკრებს. იგი ძლიერი მეტოქეა და მასთან დაპირისპირება განიხილება, როგორც საკუთარი შესაძლებლობების შემოწმების საშუალება და მზადების ეტაპი "ვივუს-ჯი"-სთან შესახვედრად. შეგახსენებთ, რომ "გენერალმა" შარშან მას ჯგუფურ ეტაპზე მოუგო, მაგრამ მეოთხედფინალში ვეღარაფერი გააწყო, მიმდინარე გათამაშებაში განცდილი მარცხისათვის კი ისედაც რევანში აქვს ასაღები...

... დიახ, "გენერლის" მოთამაშეებს თავდადება მართებთ. მათ საგაზაფხულო ბეწვის ხიდი კი გაიარეს, მაგრამ ჯგუფური გათამაშების დინებაში მშრალად სადამდე გააღწევენ, ამას აპრილში ვნახავთ.

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

„მშვიდობის თასის" გათამაშების საპრიზო სამეულში

კასპის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის 2004 და 2006 წლებში დაბადებული მოსწავლეები კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობაში პედაგოგებთან და მშობლებთან ერთად შეიკრიბნენ. ისინი საქართველოს პირველობაზე მშვიდობის თასის ტურნირში მონაწილეობდნენ და მესამე ადგილი დაიკავეს.

კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გორიტაშვილმა, მისმა მოადგილემ, მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა თეიმურაზ ხიზანაშვილმა, საფეხბურთო სკოლის დირექტორმა ავთანდილ ჯალალმა და სპორტის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორმა შოთა გოგიაშვილმა პატარებს გამარჯვება მიულოცეს, მონაწილის დიპლომები, თასი გადასცეს და სამომავლო წარმატებები უსურვეს.

მუნიციპალიტეტის და საფეხბურთო სკოლის ხელმძღვანელობას საფეხბურთო სკოლის მოსწავლეებმა და მშობლებმა მადლობა გადაუხადეს ხელშეწყობისათვის.

„გაზაფხულო, გამოქეც იანვარს"

გაზაფხულის მოსვლას მიუძღვნეს საზეიმო კონცერტი ქვემოჭალელმა ახალგაზრდებმა. ღონისძიებას, რომელსაც ამშვენებდა საინტერესო ლოგო "გაზაფხულო გამოქეც იანვარს" — ბევრი მაყურებელი დაესწრო... კონცერტის დაწყებამდე დარბაზში მყოფ საზოგადოებას მისასალმებელი სიტყვით მიმართა კულტურის სახლის დირექტორმა მარინე ყარანაშვილმა. შემდეგ სცენა დაეთმო მოცეკვავეებსა და მომღერლებს, დეკლამატორებს, მაყურებელი ოვაციებით შეხვდა კულტურის სახლთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლის გამოსვლას და "ხზვილის" (ქორეოგრაფი ნინო პავლიაშვილი) მოცეკვავეებმა ამჯერადაც მოხიბლეს თაყვანისმცემლები.

დედისადმი მიძღვნილი ლექსები მხატვრულად წაიკითხეს კულტურის სახლთან არსებული მხატვრული კითხვის წრის /ხელმძღვანელი ლ. საჩალელი/ აღსაზრდელებმა. მაყურებელთა წინაშე გამოვიდა ანსამბლი "საამილახვრო", აგრეთვე, ძმები ოქროპირიძეების ტრიო /ხელმძღვანელი, ლოტბარი გ. ხასიშვილი/, ინდივიდუალური სიმღერების შემსწავლელი წრის /ხელმძღვანელი და აკომპანიატორი თ. საჩალელი/ აღსაზრდელები.

ღონისძიება კიდევ უფრო გაალამაზა გ. ხასიშვილისა და თ. საჩალელის დუეტმა, რომელმაც შეასრულა სიმღერა — "ანგელოზად მოხვალ". ოვაციები დაიმსახურეს კულტურის სახლთან არსებული სახალხო თეატრის ნორჩმა მსახიობებმა, რომლებმაც წარმოადგინეს სცენა ილია ჭავჭავაძის მოთხრობიდან "ოთარაანთ ქვრივი". საზეიმო კონცერტი ერთ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა. ბოლოს კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანების სპეციალისტმა ნუნუ სუსუნიაშვილმა ღონისძიების ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა საინტერესო და შინაარსიანი შეხვედრისათვის.

კონცერტს უძღვებოდა კულტურის სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი ლ. საჩალელი.

კასპის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებების გაერთიანება.

ხიდის მშენებლობა მდინარე ლეხურაზე

ქალაქ კასპში დავით აღმაშენებლის ქუჩაზე, ე.წ. წყალსაქაჩის მიმდებარედ, საავტომობილო ხიდის მშენებლობა მიმდინარეობს. აღნიშნული ხიდი მდინარე ლეხურის ორი ნაპირის მოსახლეობას აკავშირებს, რომელიც ამორტიზებული, სავალად ვიწრო და არაკომფორტულია.



პროექტი სავალი ნაწილის, ხიმინჯების, საგზაო საფარის, ლითონის მოაჯირის, სავალი ნაწილის მოწყობას, ჰიდროიზოლაციას და ლითონის კონსტრუქციების შეღებვას ითვალისწინებს.



მდინარე ლეხურაზე მდებარე ხიდი წლების წინ აშენდა, რომელიც გადაადგილებისათვის უკვე საფრთხის შემცველია. ამიტომ, ახალი ხიდის ასაშენებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო თანხა - აღნიშნა კასპის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა გორიტაშვილმა.

სამუშაოებს, რომლის ღირებულებაც 235 599 ლარია შპს "კ.მ.ჰ." ახორციელებს და მასზე ადგილობრივი მოსახლეობაა დასაქმებული.

ბავშვებო!

კარგა ხანია ვცდილობთ თქვენთვის საინტერესო თემებზე გესაუბროთ, უფრო სწორად, ისეთ რამეებზე და ისეთ ვინმეებზე, რომელთა შესახებ მშობლებს ეზარებათ (ან არ სცალიათ!) რომ გიამბონ. თქვენ ახლა უფრო ბევრი იცით ვიდრე მარშან და თუ ხშირად წაიკითხავთ ჩვენს გაზეთს, მართლაც, ბევრ საინტერესო და სასიამოვნო სიახლეს შეიტყობთ მსოფლიოში გავრცელებულ საბავშვო მუზეუმებსა და ატრაქციონებზე, წყალქვეშა სასახლეებსა და ჯერ ვერ აღმოჩენილ საგანძურებზე ....

მობრძანდით რედაქციაში! გააფორმეთ ხელმოწერა, დატოვეთ თქვენთვის საინტერესო შეკითხვები და უახლოეს ნომერში მიიღებთ პასუხს

„კეხურა"

ივანე ჯავახიშვილს (1876-1940) სამი პოლიტიკური რეჟიმის დროს მოუხდა მოღვაწეობა. ქართული ისტორიოგრაფიის პატრიარქმა სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო რუსეთის იმპერიაში (1898-1917 წწ.), გააგრძელა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.) და დაასრულა საბჭოთა საქართველოში (1921-1940 წწ.). რუსეთის იმპერიის ხელისუფლებამ ივანე ჯავახიშვილი ლამის იყო სატუსაღოში გამოკეტა მისი ცნობილი ნაშრომისათვის “ეროვნული და სოციალური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში“ (სპბ., 1906). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში, 1919 წელს, ივანე ჯავახიშვილი დამფუძნებელი კრების წევრად არ აირჩიეს, მაშინ, როდესაც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში იყვნენ ისეთი ადამიანები, რომელთაც მხოლოდ დაწყებითი განათლება ჰქონდათ მიღებული. საბჭოთა საქართველოს ხელისუფლებამ ივანე ჯავახიშვილი აიძულა მისივე თაოსნობით დაარსებული თბილისის უნივერსიტეტის რექტორობიდან გადამდგარიყო, ხოლო შემდეგ საპროფესორო მოღვაწეობა აუკრძალა.

ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვის დღეს უნივერსიტეტის ბაღის სიახლოვეს ცხენოსანი პოლიცია იყო მობილიზებული.

რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ივანე ჯავახიშვილს მტრად არ მიიჩნევდა, მით უმეტეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლება, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ივანე ჯავახიშვილი მტერი იყო. საბჭოთა ლიდერებისათვის მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას, რომ ივანე ჯავახიშვილი პოლიტიკაში არ გარეულა. ამ შემთხვევაში მოქმედებდა პრინციპი: “ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენს წინააღმდეგაა“. ძველი პროფესურის, ე.წ. “ბურჟუაზიული კადრების“ იდეური და ფიზიკური განადგურება სახელმწიფო პოლიტიკის რანგში იყო აყვანილი. ეს პროცესი იგეგმებოდა ისევე, როგორც ეკონომიკის განვითარების ხუთწლიანი გეგმები. გარდა ამისა იყო კიდევ ადამიანური მანკიერების ისეთი გამოვლინება როგორიცაა: ბოროტება, შური, ბოღმა, ბეზღობა, მზაკვრობა, დაუნდობლობა, გაუტანლობა, შურისძიება, ღალატი, სილაჩრე, მაამებლობა, კარიერიზმი. ადამიანის მანკიერ თვისებებს შესანიშნავად იყენებდა საბჭოთა ხელისუფლება.

ივანე ჯავახიშვილს ორჯერ მოუწყვეს “გასამართლება“ – 1930 წელს და 1936 წელს. მკითხველს ვთავაზობთ ზოგიერთ მასალას ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ მოწყობილი თავყრილობის სტენოგრაფიული ჩანაწერებიდან.

დრო. მოვლენა. ადამიანები

როგორ დევნიდნენ ივანე ჯავახიშვილს

***

დრო: 1930 წლის დეკემბერი.

მოვლენა: – საბჭოთა ხელისუფლების ბრძოლა კონდრატიევშჩინის ანუ ე.წ. “ბურჟუაზიული კადრების“ (ძველი პროფესურისა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტების) წინააღმდეგ.

ადამიანები: – ივანე ვაშაყმაძე (საქართველოს სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის რექტორი, წითელი პროფესორი):

”ქართული ისტორიოგრაფიის მთავარი წარმომადგენელი არის პროფ. ივ. ჯავახიშვილი. იდეოლოგიურად ის ძველი ფეოდალურ-ნაციონალისტური ქვეყნის წარმომადგენელია. მეთოდოლოგიურად მხოხავი ემპირისტია და ანტიმარქსისტი. განზოგადოებას და სინთეთიურ აზროვნებას ის გაურბის, ხოლო თუ მის ნაშრომებში შეხვდებით სინთეთიურ აზროვნებას, ის აუცილებლად ნაციონალისტური ბუნების იქნება. ამის გამო ისტორიული აზროვნება საქართველოში 1921 წლამდე ძალზე ჩამორჩენილი იყო და ნაწილობრივ ივ. ჯავახიშვილის მეოხებით ეხლაც ჩამორჩენილია. მრავალი წიგნი იწერებოდა, მაგრამ მათ ქონდათ უმთავრესად ხასიათი ფაქტების შემოწმების-გენეალოგიის აღდგენისა, თარიღების გამოკვლევის და მეფეების პირადი ცხოვრების აღწერის.

უმთავრესად ასეთ ჩამორჩენილობაში ბრალი მიუძღვის პროფ. ივ. ჯავახიშვილს, თუმცა ჩვენ არ უარვყოფთ, რომ ფაქტების შეგროვების მხრივ ივ. ჯავახიშვილს აქვს დიდი ღვაწლი – მაგრამ მხოლოდ ფაქტების შეგროვების მხრივ. ამიტომ ივ. ჯავახიშვილის ისტორია არ არის ისტორია როგორც მეცნიერება. საქართველოს მეცნიერულ ისტორიის დამწერს ჯერ კიდევ უცდის საქართველოს ისტორია. ჯავახიშვილი და მისი მიმდევრები არ იცნობენ საზოგადოებრივ ფორმაციას, კლასთა ბრძოლის პრობლემებს. ისინი ისტორიის პერიოდიზაციას ქრონოლოგიის მიხედვით ახდენენ. ისტორიის ასეთი მეთოდოლოგია მე - 18 საუკუნის ისტორიოგრაფიის მეთოდოლოგიას არ სცილდება და, რა თქმა უნდა, წარმოადგენს რეაქციონურ მიმართულებას. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ ი. ჯავახიშვილმა მრავალი ნაშრომი გამოუშვა. მაგრამ წინმსვლელობა მეთოდოლოგიის მხრივ სრულიად არ ემჩნევა. მისი საქართველოს ეკონომიური ისტორია სრულიად უვარგისია. ეს არ არის ეკონომიური ისტორია, რადგანაც მასში ეკონომიკა სრულიად არაა გაგებული სწორად და მეთოდოლოგიურად, ჯავახიშვილის შემოქმედებაში წინსვლა კი არა, უკან დახევაა“ (ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. თბილისი, 2004, გვ. 38-39).

პეტრე შარია: “არ შემეძლო იმ მოკლე დროის განმავლობაში და სხვადასხვა პირობების მიხედვით, არ მქონდა შესაძლებლობა, გავცნობოდე ყველა პროფესორის ნაწარმოებს, რომლებზედაც აქ იყო ლაპარაკი, მაგრამ ზოგიერთი პროფესორის გამოსვლა მე მაძლევს საშუალებას, შევეხო მათ იდეოლოგიურ ფრონტს. უმთავრესად ორ პროფესორზედ, რომლებიც ლაპარაკობდნენ, თუ როგორი იყო მათი მუშაობა, აგრეთვე, მათი მოღვაწეობა, როგორი არის მათი იდეოლოგიური ფრონტი. ისინი ეწევიან პოლიტიკურ საბოტაჟს. კრებაზე არ მოისურვეს დასწრება. ესენი გახლავთ ივანე ჯავახიშვილი და გრიგოლ წერეთელი. ეს ხალხი, მართალია, ჩვენ უნდა გამოვიყენოთ უმაღლეს სასწავლებლებში იმისათვის, რათა თავიანთ პოლიტიკური ბაგაჟი დამალონ, არ გამოააშკარავონ, მაგრამ სად არიან, როდესაც აქ მათზეა ლაპარაკი. მათ არ იკადრეს მოსვლა. ეს არის პოლიტიკური საბოტაჟი. აკადემიური საბოტაჟი მაშინ იქნებოდა, თუ ისინი თავს დაანებებდნენ აკადემიურ ფორმებში მუშაობას და არ მოვიდოდნენ ლექციებზე. აი, თავიანთი რეაქციონური იდეოლოგია აქ გამოააშკარავეს მათ. აი, ეს აქტი არის პოლიტიკური აქტი და მას ჩვენ აუცილებლათ სათანადო შესაბამისი უნდა მივსცეთ“ (ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. თბილისი, 2004, გვ. 55).

ცხაკაია (სტუდენტი): “მე მინდა ჯავახიშვილზე და მის სკოლაზე ვილაპარაკო. და ის შემცდარი აზრი, რომელსაც ატარებს დღეს პროფ. ჯავახიშვილი თავისი მიმდევრებით. აქ ლაპარაკობდენ, რომ პროფ. ჯავახიშვილი დიდი მეცნიერია, ეს სთქვა სიმონ ხუნდაძემ და ასევე განიმეორა მეგრელიძემაც, მაგრამ მე ვლაპარაკობ, რომ ეს მხოლოდ შირმაა, თორემ ეს კაცი არ წარმოადგენს ისეთ დიდ პიროვნებას, როგორც ზოგიერთებს გონიათ და არც ასეთი დიდი მეცნიერია. მისი მთელი წიგნები არის ემპირიული ფაქტები, ემპირიული ფაქტების დამგროვებელი. მას არ გააჩნია მეთოდი სწორი გაგებით. და ჩვენ კი ვიცით მარქსისტული თეორია, სადაც ლაპარაკი არის, რომ ფაქტები აუცილებლად ერთი მეორესთან უნდა იყოს მჭიდროდ დაკავშირებული და ერთი მეორისადმი დაუკავშირებლობა ჩვენ არაფერს მოგვცემს. ჯავახიშვილს კი აქ არავითარი კავშირი არა აქვს. ისტორიული მატერიალიზმი ეს ისეთი მეცნიერება არ არის, რომელიც დიალექტიურ მატერიალიზმს ვერ შეითვისებს. ჩვენ გვინდა გარკვევით იქნეს ეს წინააღმდეგობა, კლასთა ბრძოლა გარკვევით იყოს ნაჩვენები“ (ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. თბილისი, 2004, გვ. 67-68).

სიმონ ჯანაშია: “ამხ. მომხსენებელმა განიხილა ერთი ჯგუფი, რომელსაც ეწოდება ჯავახიშვილის ჯგუფი და მე სწორეთ ამ ჯგუფს მიმაკუთვნა. მე უნდა განვაცხადო, რომ ივანე ჯავახიშვილის უდიდესი პატივისცემა მაქვს, მან დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ქართულ ისტორიულ მატერიალიზმში. მე პატივს ვცემ მას, როგორც კარგ, ნიჭიერ მეცნიერს, მაგრამ მე არავითარი საერთო არა მაქვს ამ ჯგუფთან და მათი ინტერესები ჩვენ არ გვაქვს. ჩვენი საზოგადოებრივი ურთიერთობა განსაზღვრული არის იმ ფაქტით, რომ ჩვენ გვიხდება მუშაობა ერთ და იმავე ინსტიტუტში საქართველოს კათედრის (ადგილიდან: არ არის საკმარისი! ტაში) (ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. თბილისი, 2004, გვ. 69-70).

სიმონ ყაუხჩიშვილი: “რაც შეეხება ჯანაშიას გამოსვლას, თავისი განცხადება დაიწყო დალაგებით, ფიქრში არ გადავცდეო. ეს საკმაოდ დარჩენილი ინტელეგენტია. თქვენ დარჩენილი ხართ ისევ ინტელეგენციის წრეში. ჩვენ თქვენ გიცნობთ. თქვენ ხართ ბურჟუაზიის შემეცნების. თქვენ ჯავახიშვილზედ არაფერი სთქვით, თქვენ სთქვით, რომ არ ვცემ პატივს მის შემეცნებას. ეს ყველამ გაიგო. ჩვენ ეს არ გვინდა, ჩვენ გვინდა გავიგოთ, ხართ თუ არა მიმდევარი მატერიალური დიალექტიკის, სცნობთ თუ არა, რომ ეს არის ნამდვილი პროლეტარიატის კლასის დიალექტიკა, თქვენ ეს არ სთქვით. ხართ თუ არა მომხრე ჯავახიშვილის. აგრეთვე ჩვენ ვიცნობთ თქვენ ნაწარმოებს, როგორიც არის “შადური,“ “დამპატიჟე,“ ჩვენ კარგად ვიცნობთ ჯავახიშვილის შემოქმედებას (ხანგრძლივი ტაში). მე უნდა მოგახსენოთ პროლეტარიატის ნებისყოფა. პროლეტარიატი შორს მჭვრეტელი არის... საჭირო არის გონს მოხვიდეთ მეცნიერებაში. არ შეიძლება გატარება ნაციონალურ იდეოლოგიის“ (ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. თბილისი, 2004, გვ. 72).

გაბუნია (სტუდენტი): “აქ გამოვიდნენ სხვადასხვა პროფესორები, როგორიც არის ჯანაშია და სხვები. ჯანაშიამ წაიკითხა ლექცია მშვენიერად. ჯანაშიას აკადემიურ ცოდნას ჩვენ აქ არ ვეხებით, მხოლოდ ჩვენ გვინდა, როგორი თვალსაზრისის არის. პატივცემული ჯანაშია არის ახალგაზრდა კაცი და მან უნდა შეითვისოს დიალექტიური მატერიალიზმი და არა მარტო ფაქტების აღნუსხვით, როგორც ეს აქვს თავის წიგნებში პროფ. ჯავახიშვილს. შემდეგ პროფ. ყაუხჩიშვილის გამოსვლა. ის სრულებით არ შეხებია იმ საკითხებს, რომელიც დღეს სტუდენტებს აინტერესებს, ე.ი. როგორი კავშირი აქვს ჯავახიშვილის სკოლასთან“ (ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. თბილისი, 2004, გვ. 77).

ნიკო ბერძენიშვილი: “მე თვითონ კარგად არ ვიცი, თუ რომელ დაჯგუფებაში ვარ, მაგრამ მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ არ ვიცი, რომელ დაჯგუფებაში მომათავსა პატივც. მომხსენებელმა პროფ. ივ. ვაშაყმაძემ (ვაშაყმაძე: ჯავახიშვილის). თუ ჯავახიშვილის ჯგუფში ვარ, უნდა განვაცხადო, რომ ჩემი აზრი არის სამწუხარო. მე არ უნდა მოგეთავსებინეთ ჯავახიშვილის ჯგუფში“ (ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. თბილისი, 2004, გვ. 78-79) ... “არა, მე წავიკითხავ. მე ვიყავი რევოლუციონერი და ვაპირებ ყოფნას რევოლუციასთან როგორც პოლიტიკურად, ისე იდეოლოგიურად. მე სამსახურად ვფიქრობ, ამისათვის მზად ვარ. ამაში შეგიძლიათ თქვენ დარწმუნებული იყოთ. უკანასკნელი, რაც შეეხება ჩემს დამოკიდებულებას პროფ. ივანე ჯავახიშვილთან, ასეთი არის. მე მას ურმეს პატივს ვცემ, როგორც ჩვენს ხელმძღვანელს, განსაკუთრებით ისტორიის დარგში, მაგრამ ყველა ეს მე სრულიად არ მიშლის ხელს არ გავიზიარო მისი იდეოლოგიური კონცეპცია (ადგილიდან: ძირს, ძირს, ძირს, ძირს!) (ივანე ჯავახიშვილი ტირანიის სამსჯავროს წინაშე. თბილისი, 2004, გვ. 79).

მელაძე (სტუდენტი): “როდესაც სოციალისტურ ფრონტზე ჩვენ ვაწარმოებთ კლასობრივ შეტევას, მაშვინ თვითეული ჩვენთაგანი გარკვეულ გზას უნდა ადგეს ...

*გაგრძელება მომდევნო ნომერში.

ეს ერთი და ...

ზ-ახახ ს-ჩწივენს ზ-ეიმი ს-ქვთ

წარმატება

კასპის ფეხბურთის სკოლის (დირექტორი ავთანდილ ჯალალი) 10 წლის აღსაზრდელებმა ზამთრის ბოლო თვეში – თებერვალში – თბილისურ "მშვიდობის თასზე" ბურთი იმედიანად, გაბედულად, თამამად გააგორეს და გაზაფხულის პირზე – მარტში – ისეთი საპრიზო გამარჯვება მოიპოვეს, ჩემპიონის შედეგზე მეტი რეზონანსი გამოიწვიეს. ჩვენი პატარა ქალაქის მცირე გაქანების სკოლის ბიჭუნებმა ტოლი თითქმის არაფერში დაუთმეს დედაქალაქისა და დიდი ქალაქების სახელოვანი სკოლების თანატოლთა გუნდებს.

ლეხური-სპირელებმა სამი გუნდით იასპარეზეს. ერთმა (მწვრთნელი შავლეგ მაჭარაშვილი) უკონკურსოდ ითამაშა და ყველა თამაში მოიგო, ტურნირში მისი გამოსვლა საგამოცდო მიზანს ემსახურებოდა ასაკმეტობის გამო და შედეგი გათვალისწინებული არ ყოფილა...

ის წარმატება კი, რომელიც ჩემპიონის გამარჯვებაზე რეზონანსული გამოდგა, დაიმსახურეს კასპელი მწვრთნელის, ზაზა ჯალალის, ხელდებულმა ყმაწვილებმა. მათ ტურნირის ბოლო ეტაპზე გააღწიეს და მესამე ადგილისათვის მატჩში ეთამაშნენ დედაქალაქელ "ავაზელებს": პრინციპული თამაშის დროს პროვინციელობის კომპლექსი დაივიწყეს, ძირითად დროში თანაბრად დაუდგნენ, ერთი გატანილი გოლი ამდენივე გაშვებულში გაუბარეს და, მერე, პენალტების სერიაში, სულაც იხეირეს!

თვითონ ხომ გაიხარეს და ხელდამსხმელი მწვრთნელიც გაახარეს! მას კი, მწვრთნელი-მამის საქმიანობის კვალში კარგახნის ჩამდგარს, ტურნირის ორგანიზატორთა მხრიდან არანაკლები საამაყო ფაქტი ეფეშქაშა საკუთარი გარჯის დაფასება-აღიარების დასტურად:

ზაზა ჯალალი დასახელდა "მშვიდობის თასი – 2016"-ის საუკეთესო მწვრთნელად.

სამბო

სტუმარი ღვთისაა! – პრეზიდენტი?

ქ. კასპში შარშანდელ ივლისში გაიხსნა ნაადრევად გარდაცვლილი ახალგაზრდა მოჭიდავის, გიორგი მერებაშვილის, სახელობის ღია საჭიდაო არენა და ჩატარდა მისივე ხსოვნისადმი მიძღვნილი ტურნირი. ღონისძიებას უამრავი მაყურებელი და სტუმარი ჰყავდა. წვეულთა შორის იყვნენ ნაცადი, სახელოვანი სამბოელებიც – ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონები, საქართველოს ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი და, ასევე, სხვა დაინტერესებული პირები, სპეციალისტები.

მათ შორის ბრძანდებოდა 2011 წლის მსოფლიო ჩემპიონი სამბოში ავთანდილ ცინცაძე. მაშინ მისი სახელით გაჟღერდა ინფორმაცია, რომ სამბოს ეროვნული ფედერაცია უკვე სექტემბრიდან გეგმავდა აწგარდაცვლილი სახელოვანი სამბოელის, ვანო გამხიტაშვილის, ახალგაზრდული ტურნირისათვის საერთაშორისო სტატუსის მინიჭებას... ასეთი განცხადების გახმაურება ნიშნავდა, რომ ბატონი ავთო ფედერაციის შიდასამზარეულოში ჩახედული კაცი ბრძანდებოდა.

აი, გავიდა წელიწადზე ნაკლები დრო და ახლახან, თებერვალში, ცნობილი გახდა, რომ საქართველოს სამბოელთა ამქარს ახალი თავკაცი ჰყავს და ეს გახლავთ 33 წლის მსოფლიო ჩემპიონი ავთანდილ ცინცაძე!

კასპელი სამბოელები დღემდე განაპირობებენ ჭიდაობის ამ სახეობის საქვეყნო საქმეებს. ასეთ დროს კი, წარმატებული საჭიდაო რეგიონების მიმართ, ყოველთვის საჭიროა ეროვნული ფედერაციის ხელმძღვანელთა მხარდამჭერი პოზიცია, ქმედითი ყურადღებისა და მხარდაჭერის გამოხატვა.

მივესალმებით ახალი პრეზიდენტის არჩევას და ვიმედოვნებთ, საქმიანი სტუმრის როლში ავთანდილ ცინცაძე კვლავაც მრავალჯერ ეწვევა ჩვენი რაიონის სპორტსმენებს, ოღონდ, ამჯერად, სამბოს ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტის უფლებამოსილებით!

ჭიდაობა

პირველი მერცხლები საგაზაფხულოდ...

წლევანდელი ზამთარ-გაზაფხულის გარდამავალ პერიოდში პირველი შეჯიბრებები გამართეს ჭიდაობის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლებმა – სამბოელებმა, ძიუდოისტებმა, თავისუფალი სტილის მიმდევრებმა.

✦ დავიწყოთ სამბოელებით, რომლებმაც ძალები მოსინჯეს საქართველოს გარეთ: მათ ქ. მინსკში იასპარეზეს ბელარუსის პრეზიდენტის თასზე "ა" კატეგორიის საერთაშორისო სარეიტინგო ტურნირში. ქართველებმა სულ 11 მედალი მოინაგრეს. 8 ბრინჯაოს სინჯის ჯილდოდან კასპელებმა 3 დაისაკუთრეს. მათი გვარები ყველასთვის კარგად ნაცნობია და სულაც ერთი სოფლის (მეტეხის) სახელს შეგვახსენებს. აი, ისინიც: ზვიად ოდოშაშვილი (62 კგ.), კახა მამულაშვილი (74 კგ.) და ბექა ბერძენიშვილი (+100).

(საქართველოს ნაკრები ემზადება მაისში ქ. ყაზანში (რუსეთი) ჩასატარებელი ევროპის პირველობისათვის. ვიმედოვნებთ, ჩვენებურები გუნდში ტონუსის მიმცემნი იქნებიან).

✦ ჭაბუკმა და ახალგაზრდა სამბოელებმა საქართველოს პირველობაზე იპაექრეს, რომელიც თებერვლის ბოლოს ქ. თბილისში ჩატარდა. როგორც მოსალოდნელი იყო, იჩემპიონა ჯაბა პაპინაშვილმა (52 კგ.). გაგვახარეს, ასევე, ლაშა დუდაშვილმა (მე-2 ადგილი, 75 კგ.) და ნიკა ბოგველმა (მე-3 ადგილი, 62 კგ.).

✦ ახალგაზრდულ საკლასიფიკაციო ზღვარს მალე მოიტოვებენ და ასაკით უფროსებში იჭიდავებენ უკვე ნაცადი ძიუდოისტები: დავით გეჯაძე (55 კგ.), გიორგი კაციაშვილი (73 კგ.), რობინზონ ბეგლარაშვილი (60 კგ.) და გიორგი გუგულაშვილი (66 კგ.). ამ ოთხეულმა უკვე მოასწრო თებერვლის შიდა ახალგაზრდული და საუფროსო პირველობების ჩემპიონობა.

✦ საქართველოს თავისუფალი სტილის ჭაბუკთა ნაკრებმა (მთავარი მწვრთნელი გიორგი იანტბელიძე) 23-24 თებერვალს ქ. ხარკოვში (უკრაინა) იასპარეზა საერთაშორისო ტურნირში. მწვრთნელებმა გაფართოებული შემადგენლობა იახლეს, რადგანაც უკეთესების ძიებას განაგრძობენ და ბევრი ახალგაზრდის გამოცდა სურთ. ამიტომ იყო, რომ, მაგალითად, 69 კგ. წონით კატეგორიაში 2 მოჭიდავე გამოიყვანეს – კასპელი დანიელ მარქარაშვილი და თბილისელი რომან აფციაური. მათ იმედები გაამართლეს: ქართველი ჭაბუკების წყვილმა ფინალში გააღწია, იქ კი გამარჯვება ჩვენებურმა დაინარჩუნა.

უკრაინის ტურნირზე იჭიდავა ედი ბუღულაშვილმაც (76 კგ.). მართალია, შედეგი ვერ აჩვენა, მაგრამ საჭირო გამოცდილება მოიმატა და, ვფიქრობთ, ახალ ჯერზე წარმატებულიც იქნება... აკი თემურ გაბოძის შეგირდებიდან სადღეისოდ სწორედ მარქარაშვილ-ბუღულაშვილის ტანდემია ყველაზე იმედეული.

✦ ედი ბუღულაშვილმა, სამაგიეროდ, შუა მარტში თავი გამოიჩინა ქ. თბილისში, სადაც მოიგო დამსახურებული მწვრთნელის, ამირან მაისურაძის, სახელობის ტურნირი.

მარტშივე გამარჯვებასთან ახლოს იყვნენ, ასევე, გიორგი ყაზარაშვილი – საქართველოს ჩემპიონატში ახალგაზრდებს შორის და მიხეილ ხუციშვილი – ქ. საგარეჯოში ოთარ არჩვაძის ხსოვნის ტურნირში. მათ მხოლოდ ფინალურ ორთაბრძოლებში წაიფორხილეს და მე-2 საპრიზო ადგილები დაიკავეს.

(დასახელებული ყველა მოჭიდავის საგაზაფხულო პირველ წარმატებებს ვულოცავთ მათ მწვრთნელებს, ასევე, ახლობლებსა და გულშემატკივრებს).

კასპის მუნიციპალიტეტის სპორტის დაწესებულებების გაერთიანება.

გამოგვიგზავნეთ! „ახალი გზა“ იძებს ცალიერი ტოლფასი ტოლფასებს ჩვენთან ერთად ფოტო-მასალიან შეცდომებს. თხოვნით მივმართავთ თანამოაზრეებს - დაფოტოთ ოჯახი ყვავილი ჩვენს მასალაში! გამოგვიგზავნეთ ცალიერ ტოლფასებს და ცალიერ ფოტოები!

„ჭეშმარიტ ოსტატები“

ღია მეცადინეობის თემა – „პროფესიები“

ქვემო ჭალის საბავშვო ბაღი

სანახაობრივად ძალიან საინტერესო, საჩვენებელი ღონისძიება გამართეს ქვემო ჭალის საბავშვო ბაღის 4-5 წლიანთა ჯგუფის აღსაზრდელებმა. ღია მეცადინეობა თემაზე: "პროფესიები", რომელიც წინასწარ დაიგეგმა გამოსაშვები ჯგუფის აღსაზრდელებისათვის, ერთგვარად შოუს ელემენტებსაც ითავსებდა, ვინაიდან მას თან ახლდა მუსიკა, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების გამოყენება და გართობა...

– სხვათა შორის, ანალოგიური, შემეცნებითი ხასიათის ღონისძიება სხვა დროსაც ჩაგვიტარებია, – აცხადებს ბაღის გამგე ნათია მჭედელაძე,

– ამჯერად, ღია გაკვეთილი მიზნად ისახავდა როლური უნარების, შემოქმედებითი, ფანტაზიის, ყურადღების და წარმოსახვის განვითარებას, წვრილი და მსხვილი მოტორიკის, კოგნიტური, კომუნიკაციის, სოციალურ-ემოციური უნარების განვითარებას. თქვენ წარმოიდგინეთ, ჩვენ არცკი ველოდით ასეთ რეზულტატს, შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. სასიამოვნო მოულოდნელობის

წინაშე აღმოჩნდნენ თვით მშობლებიც კი.

მოკლედ, საინტერესოდ, დინამიურად დაიწყო ღია მეცადინეობა, რომელსაც ესწრებოდნენ სპეციალურად მოწვეული სტუმრები, მათ შორის, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი თეა ხორბალაძე, მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანების დირექტორი მანანა ხვთისიაშვილი, აღსაზრდელების მშობლები, სკოლის მასწავლებლები... წინასწარ განსაზღვრული და მოხერხებული ადგილები დაიკავეს ბავშვებმა, დიახ, პროფესიების მიხედვით განლაგდნენ "პატარა ოსტატები", მაგალითად, სტილისტს დაახვედრეს სკამები და მომსახურებისათვის საჭირო ნივთები, როგორიც

არის მაგალითად ფენი, სავარცხლები, მაკრატელი, სუნამოები.

აღმზრდელებმა დ. ოთარაშვილმა და ისერგიშვილმა, რა

თქმა უნდა, თადარიგი წინასწარ დაიჭირეს და პატარა მხატვრები ნამდვილი მოლბერტით, ფუნჯებითა და საღებავებით მოამარაგეს. მხატვრების კუთხეს თვალსაჩინოებისათვის ლამაზი ლოგო "მე დავხატავ" – ამშვენებდა, ჟღერდა პატარების საყვარელი სიმღერებიც... განა მარტო მხატვრები, "მშენებლებიც" მარდად ფუსფუსებდნენ, ფერადი ხის კუბიკებით ლამაზ სახლებს აგებდნენ, ხოლო, "მღებავები" მუყაოსგან დამზადებულ სახლებს უდიდესი მონდომებითა და სიფრთხილით ღებავდნენ. ერთი სიტყვით, "პატარა ოსტატებმა" ააწყვეს ფაზლები, რომელზეც ცხრა პროფესიის ადამიანი და მათთვის საჭირო ნივთები იყო წარმოდგენილი, მაგალითად, მასწავლებელი, მებაღე, პოლიციელი, სტილისტი, მცხობელი, მკერავი, მხატვარი, ექიმი...

– აქტივობები ისე ცვლიდა ერთმანეთს რომ მოსაწყენად და მოსაცლელად არც ბავშვებს და არც მათ აღმზრდელებს არ ეცალათ, – განმარტავს ნათია მჭედელაძე, – იყო ნამდვილი შემოქმედებითი პროცესი, ნათლად იგრძნობდა ბავშვების დამოკიდებულება, დადებითი მუხტი და პოზიტიური განწყობა.

ამდენად, ღია მეცადინეობამ დასახულ მიზანს მიაღწია, რაც მთავარია, ბავშვებისთვის ეს იყო სასიამოვნო პროცესი, რომელიც მათ თავისუფლებისა და სიხარულის განცდას ანიჭებს.

კასპის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების გაერთიანება.

ეჭვი

თუ ადამ–თიხის ნეკნიდან ვიშვი,
რად ავწდი, ბედო, კუთვნილ ნახევარს?..
სულ მანვალებდა ეჭვი და შიში,
მაგრამ დავნებდი უფლის ნახელავს...
ბედო, მუხთალო, ხელი გამიშვი?
მარტო ვარ, ტკივილს ვუძლებ რამხელას!..
ბედო, შვილების მამა რომ დუმდა,
არ მთვლიდა მისი ნეკნობის ღირსად?
მაკმარე, წალად ვიარო მუდამ!
დავშორდით, რადგან თავს თვლიდა სხვისად?
ვიწი, ეჭვებსაც გაფანტვა უნდა,
ეჭვებს, ბებერი სამყაროს ხნისა!
ჰო, იმ კაცს ნეკნი არწ აკლდა იქნებ,
ვის მეუღლედაც ბრმად ამარჩიე?!
მძიმე ტვირთია, ვთრევ და ვითმენ,
ღმერთს ვევედრები – გადამარჩინე!
– უფალო, ბედის მონად არ ვიქწე,
გთხოვ, მორჩილებას გადამჩვიე!
... ბევრ ევას ნატვრა არ აუსრულდა,
თავის ადამთან სიზმრის ნახვისა...
უფალს ვმადლობ, თუ დედობა მსურდა –
დედაშვილობის მადლი მაღირსა!
სიწყრალე ღირდა იმისთვის თუნდა,
ნილხვედრი რომ ვარ დიდი მადლისა!
და რომ სიწყრალე იქნეს ბადაგად,
ღმერთს ამ ნაბიჯის უჭირს გადადგმა?
– იქნებ მოხედოს მონყალედ მხევალს, –
შეხვდეს თავისი ადამი ევას!

თამარ გაბოძე

აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი

გამოგვეხმაურეთ, დაგვიკავშირდით

ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში მრავალი უცნაური, მოულოდნელი თუ აუხსნელი მოვლენის მოწმე ხდება. უმეტეს შემთხვევაში არ ვიცით, ვის გავუზიაროთ ნანახი, ალბათ იმის შიშით, რომ შეიძლება არასწორად გაგვიგონ.

თუ ყოფილხართ მომსწრე აუხსნელი, უცნაური, შეუცნობელი მოვლენისა შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ამ ფაქტის ამსახველი ვიდეო, ფოტო მასალა და გაგვიმხილოთ საკუთარი ემოცია, შთაბეჭდილება.

მისი გაცნობისა და შესწავლის შემდეგ, თუ იგი საინტერესო იქნება ფართო აუდიტორიისათვის, მკითხველისათვის, გამოქვეყნდება გაზეთში რუბრიკით „შეუცნობელი.“ საჭიროების შემთხვევაში შეგვიძლია თქვენს მიერ შემოთავაზებული წერილი გადავცეთ ჟურნალ „ფენომენს„ და შესაბამისად ავტორი გაეცნოს ექსპერტთა შეფასებებსა თუ კომენტარებს. ჩვენ თქვენთან ერთად შევეცდებით გავარკვიოთ ტყუილ-მართალი. კითხვები ხომ იმისთვის არსებობს რომ პასუხის მოძიებისას გავიგოთ მეტი. ყველა მინიშნების უკან შეიძლება იმალებოდეს პასუხი ჩვენთვის საინტერესო კითხვებზე, მოვლენებზე.

გამოგვეხმაურეთ!

მილოცვა

ჩვენს ცაცვარილ ლიდიას ლ ბებიას ნათელა ყვავზოვან ვულოცავთ ლაბალიბის ლიდს! ვუსურვებთ ჯანმრთელობას ლ ლიდხანს ცხოვრებას.

შვილები ლ შვილიშვილები.

გამოიწერეთ "ახალი გაზეთი" გახლით ჩვენი მკითხველი!

გამოგვიხმაურეთ!

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩრდილოეთ ყვავლოვ ცაცარეთ თუ ყირძო ცოლოვან ვაძლიავთ შეცაძლებლობაც გაზეთის ცამუალებით თვრთთ მკითხველს გაეცნოს ცაუთარი ცოლიან იტორია ლ ამუო.

2015-2016 ცანწავლო წლის განმავლობაში შეცაძლებლობა გაქვთ გაზეთში გამოაქვეყნოთ მშობლიური ცოლიან მიმწვლები, გაზეთის თურცლების მეშვეობით ცაუთარ გაცაცოთ თქვენი ჩრობლემები, ლაცაცოთ ცოლიან ცამოსული ცამოსული გეგმები, ყველან გაეცნოთ ოვანწლომილი, ცაცალეთ თუ ცალობელ ჰელაგოგები, გვიამბეთ ცალ ლ როგორ ანწავლობთ, რითი ამყობთ, რა გსურთ...

გაეცანით თანრჩაიობელებს თქვენი ყურლამთავრებული მეტენცეები, რომლებიც ჯერ ივიწყებენ ალმა-მეტრს.

ცხოვრების ცაუყეთილო ლ უმეშვენიერეს წლებს ვაცარებთ ცოლოვში ლ გვინდა, რომ იქ გაცარებული წლები იყოს მნიშვნელოვანი, წარმეტებული, ლაფიწყარი. გამოგვიხმაურეთ!

წელიწადის მეხუთე დრო

პუბლიკა – წელიწადის მეხუთე დრო ელოდება ოქვენ გამოხმაურებას. მობრძანდით ბლიცკიაში. გამოგვაცანით ოქვენი ნაძუძგვლები ჩანამოალეინეთ ელექტრონული ფოსტა და გაეცანით �i ნაზოვალოებას.

ხსოვნა

ელიზა მერებაშვილი გოგოლაძისა

ყველაზე ჭკვიანი და მჭევრმეტყველი ბრძენიც უძლურია სიკვდილთან. დედა, მოუშუშებელი ტკივილი დაგვიტოვე გულში... რამდენი წელი გავიდა და არ გვტოვებს შენი გარდაცვალების ტკივილი და სახელდაურქმეველი განცდა, როდესაც ხვდები, რომ არ შეგიძლია შეცვალო რეალობა, რომელმაც ერთ წუთში წაგართვა საყვარელი ადამიანი, ხელიდან გამოგაცალა ძალიან მნიშვნელოვანი უახლოესი ადამიანის სიცოცხლე და გადააბარა მარადისობას. უსაშველო ტკივილად და მონატრებად იქეცი, დედა...

შეუძლებელია ეს მონატრება გავიდეს რადგან შენ ყველასათვის საამაყო, დინჯი, თბილი, მზრუნველი და უსაყვარლესი ადამიანი იყავი. როგორ სილამაზეს სძენდი ჩვენს ცხოვრებას დაწყებული უმნიშვნელო დეტალებიდან - მატერიალურ მხარდაჭერამდე.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული. თბილი და მსუბუქი ყოფილიყოს შენთვის მშობლიური მიწა, ჩვენ ვიცით, ხარ იქ "სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არცა ურვა, არცა სულთქმა, არამედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე".

ოჯახი.

მალხაზ (რონალდ) მორბედაძე

დრო სწრაფად მიდის, ვერ შეაჩერებ, მხოლოდ ნაღვლიანი მზერა შეიძლება გააყოლო უკან მოტოვებულ წლებს და ინატრო იმ ადამიანებთან ყოფნა, რომლებიც ულმობელ დროს თან მიჰყავს. უკვე ერთი ტკივილიანი წელი გავიდა, რაც ჩვენთან აღარ ხარ, აღარ გვილამაზებ ცხოვრებას შენი ღიმილითა და გადამდები ხალისით. არა მხოლოდ დედ-მამას, მეუღლეს, შვილებსა და შვილიშვილებს ენატრები, ყველას დააკლდი, ვინც გიცნობდა, შენთან ურთიერთობა ჰქონდა. შენთან განშორების ტკივილს რა დააყუჩებს, მაგრამ ცრემლს სევდიანი ღიმილიც ახლავს. იმდენად თბილი, საყვარელი, სიცოცხლით სავსე იყავი, სხვანაირად ვერც მოგიგონებთ.

დრო ისევ შეუჩერებლად მიდის. შენს შვილებში, შვილიშვილებში აგრძელებ არსებობას. ჩვენც მათ ვეფერებით და გვგონია, შენ გვიყურებ მათი თვალებით. უფალმა დაგიმკვიდროს სასუფეველი, შენს დანატოვარს კი მზეგრძელობა და შენეული კაცური კაცობა დაებედოს.

ახლობლები.

ფოტო-მცდელობა

,,ახალი გაზეთი,, იძლევა საინტერესო საკითხებზე ჩვეულებრივ ადგილობრივ ფოტო-მცდელობას შეგვაქმნეროდა. თხოვნით მივმართავთ თანამშრომლებს - ლაფოვეთ თქვენი ყველა ჩვენს მცდელობაში! გამოგვიგზავნეთ საინტერესო ლ ახალი ფოტოები!

რედაქციაში შემოსული წერილები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ

გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა ,,ქოლორში,,

რედაქცია ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
სტატიის ავტორის აზრი, შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციის აზრს. მოტანილი ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
სარეკლამო მასალებისა და განცხადებების შინაარსზე რედაქცია პასუხს არ აგებს.
რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება.

რედაქტორი ნანა მერებაშვილი

რედაქციის მისამართი: 2600 ქ ქასპი საბაბაძის ქ. № 68
ტელეფონი 22-25-76